ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 38

ქ. თეთრიწყარო 14 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატალია ბეგიაშვილის სახით და მეორეს მხრივ ოთარი ქოჩორაშვილი (შემდგომში "მიმწოდებელი")სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.

1.5."მიმწოდებელი"-პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6."საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7."ტექნიკური დავალება" - რომელიც ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ააიპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღებისათვის: მანის ბურღულის CPV-1562500, ფქვილის CPV-15612100, ზეთისა CPV-15411100 და ჯემის CPV-15332290 შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1. მიწოდებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სანიტარულ-ჰიგიენურნორმებს. ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს კონკრეტული სახეობისათვის მოქმედი სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით.

3.2 საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები"-ს მოთხოვნებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3326,35 (სამი ათას სამასოცდაექვსი ლარი და 35 თეთრი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით, მათ შორის: მანის და ფქვილის ღირებულება შეადგენს 1082,75 ლარს (CPV-15600000), ზეთის (CPV-1540000) - 1888.60 ლარს, ხოლო ჯემის (CPV-15300000) -355 ლარს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 დაფინანსების წყარო: 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო-ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. მიწოდების ვადები

7.1. მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 14 სექტემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში ქ.თეთრიწყაროს N1 და N2, სოფელ: ჭივჭავის, სამღერეთის, წინწყაროს, გოლთეთის, ხაიშის, კოდის, ვაშლოვნის, ბორბალო, ასურეთის, ჯორჯიაშვილის, დაბა მანგლისის, ფარცხისის, მარაბდისა და ირაგის საბავშვო ბაღებში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება;

8.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

8.2. შემყიდველი უფლებამოსილია:

8.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს ცენტრის დირექტორი- ნატალია ბეგიაშვილი.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მოთხოვნილი საქონლის დროულად არ მიწოდების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

10.1.1. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 20% ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

11.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

11.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

11.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.8.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს - მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 14 სექტემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

18. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აიპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი
ს.კ230869539
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარმეფისქ. #35,
<u>რეკვიზიტები:</u>
სახელმწიფო ხაზინა
GE24NB0330100200165022

ნატალია ბეგიაშვილი

მიმწოდებელი:

ი.მ. ოთარი ქოჩორაშვილი
ს.კ 22001018251
მის: თეთრიწყაროს რ-ნი. სოფ. ჯორჯიაშვილი
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ბანკი: ლიბერთი ბანკი
კოდიLBRTGE22
ა.აGE95LB0112147787897000

ოთარი ქოჩორაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ. თეთრიწყარო 14 სექტემბერი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ააიპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი ნატალია ბეგიაშვილი ვადასტურებთ, რომ ი.მ. ოთარი ქოჩორაშვილთან გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში და ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორხიელებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ნატალია ბეგიაშვილი ..... (დირექტორი)

N	დასახელება	მახასიათებლები	გზ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6	7
1	მანის ბურღული	ღია ფერის,ობის, ნესტის და მინარევების გარეშე, საკვებად ვარგისი თან ერთოს ეტიკეტები.	კგ	142	1.45	205.9
2	ფქვილი	უმაღლესი ხარისის, მშრალი, ნესტის გარეშე, თან ერთოს ეტიკეტები.	კგ	674.50	1.3	876.85
3	ზეთი	უმაღლესი ხარისხის რაფინირებული მსეზუმზირის ზეთი შენახვის ვადა 1 წლით. ანტიოქსიდანტების გარეშე, სუნი და გემო სასიამოვნო.	ლიტრი	497	3.8	1888.6
4						2971.35

პრეტენდენტის ხელმოწერა

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ჯემი	უმაღლესი ხარისხის, დაფასოებული ქარხნული წესით მინის შეფუთვაში 0,5-1,5 კგ-მდე, მითითებული მოქმედების ვადით. არ უნდა შეიცავდეს სიცოცხლისთვის საფრთხე ბაქტერიებს და მინარევებს. ყოველი მიღებული საქონელის დარჩენილი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს საერთო მოქმედების ვადაზე 50%-ზე ნაკლები	საქართველო	შპს კულა	კგ.	71	5	355
2							სრული ღირებულება	355